დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა

რედაქცია

ტფილისში ბრაუნშვეიგზე თ. ივ. ჯუანშერის სახლში ... ქვემოთ.

ხელის-მოწერა

ქალაქში თვალებში „დროებისა“ რედაქციაში, ქუჩაში ... (გვერდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ... ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

... 9 მან. ... ხუთის თვისა . . . 3 მან.
... 5 მან. ... ერთის თვისა . . . 1 მან.

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ... ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებრივ ... ზე 8 კაპ.

თუ ხანგრძლივი მოითხოვს, რედაქცია გააბწყინებს და შეამოკლებს ... ...

ვთქვათ, ერთს დღიურ ადგილზე ინგლისელსა და ფრანცუზს ათი იმოდენა მოჰყავს, ვიდრე ჩვენებურ კაცს? იმიტომ რომ იქ მიწის შემუშავება იციან. იმიტომ რომ იქ ყოველ ნაირი იარაღი აქვთ: სახნავ-სათესი, სამკალ-სალეწი, გასანიავებელი და სხვ. და სხვ., და ჩვენ კი ჩვენს ადამის ხნის გუთანსა და კევრს ვერ მოვშორებივართ. ძიდევ იმიტომ რომ იქ მიწის პატივი, მოვლა, მორწყვა და სხვ. იციან, და ჩვენ კი ღვთის ანაბარაზე ვტოვებთ ჩვენს საყანე ადგილებს, ჩვენს ვენახებს.

Mითო-ოროლა ჩვენმა მემამულეებმაც დაიბარეს ახალი სამეურნეო იარაღები და იმით მუშაობენ. ჰკითხეთ ამათ და გეტყვიან, თუ რამდენად უმსუბუქდებათ, უიაფდებათ მუშაობა ამ იარაღების წყალობით. რად გვინდა ჭკუა, თუ კარგის მიბაძვასაც ვერ მოვახერხებთ, თუ სხვის გამოცდილებით ვერ ვისარგებლებთ?

Bამოცდილებამ ერთი რამ უნდა შეგვძინოს კიდევ ჩვენ: დამზოგველობა. Bხედავთ, რომ უანგარიშო, ქართველური, ბედოვლათური ცხოვრება აღარ გვარგია. Dაწინაურებული ყოველ საქმეში ის არის, ვინც მაგალითად, წელიწადში რომ ათ თუმანს მოიგებს, ამ მოგებას სულ თვითონ კი არ შესჭამს, არა—ზოგს თვითონ თავის საქმის წარმატებისათვის გადადებს, შავის დღისთვისაც შემოიზოგავს და დანარჩენს თვითონ მოიხმარს. ჩვენ კი როგორ ვიქცევით? ჩვენს თავადს და აზნაურს თუ წელიწადში, ვთქვათ, ათი თუმანი აქვს შემოსავალი, ამ ათ თუმანს ერთ თვეში შესჭამს და დანარჩენ თერთმეტი თვის განმავლობაში ვალითა და ვახშით ცხოვრებს, რომლისთვისაც შემდეგ ამ ათი თუმნის მომცემ მამულებსაც უყიდიან! Aმ ნაირის ცხოვრებით რა სიკეთე უნდა დაგვეყაროს!

Iმიმეორებთ: თუ ამ ზემოხსენებულის სამის საგნის მნიშვნელობა ვერ გავიგეთ და დროზე არ დავაფასეთ იმის მიუცილებელი საჭიროება ჩვენთვის, ჩვენი საქმე ცუდად არის.

დღიური

ჩვენ შევიტყეთ, რომ ჩვენს პატივცემულ ისტორიკოსს დ. ზ. ბაქრაძეს ახლად-დაარსებულის „პალესტინის საზოგადოებისაგან“ წინადადება მოსვლია, რომ ამ საზოგადოების ხარჯით წავიდეს Iერუსალიმში და Aთონის მთაზე და გამოიკვლიოს რაც კი რამ არის იქ ძველ ქართველების ხელოვნებისა, შენობებისა ანუ მწერლობის ნაშთი. Dიდი მთავარი Aლექსი Aლექსანდრეს-ძე გაკვირვებული იყო იმ ნაშთთა სიმრავლით, რომელიც ძველ ქართველებისაგან დარჩენილა Iერუსალიმში და Aთონის მთაზედაო და, რადგან მეცნიერებამ ამ ნაშთებზე ჯერ თითქმის სრულიად არა იცის-რაო, საზოგადოება გთხოვესთ, რომ იცისროთ ეს საქმეო.

Oთხი თვის ვადა და ხარჯად ორასი თუმანი დაუნიშნავს საზოგადოებას ბ. ბაქრაძისათვის ამ საქმის შესასრულებელად.

Jერ არ ვიცით ნამდვილად—ჰკისრულობს ბ. ბაქრაძე ამ ფრიად საინტერესო წინადადების შესრულებას, თუ არა. Oთავის დროზე ნამდვილ ამბავს ვაცნობებთ მკითხველთ.

* * *

Oელავიდამ გვწერენ:

„Bისაც ერთხელ გამოუვლია ის ჭირი და ვაი-ვაგლახი, რასაც ხშირად Oელავიდამ Tფილისში და Tფილისიდამ Oელავში მგზავრი გამოიელის ხოლმე, დარწმუნებული ვარ, ფრიად ისიამოვნებს, როდესაც გაიგებს, რომ ყველა ამ ჭირს და ვაი-ვაგლახს დღეს თუ ხვალ ბოლო უნდა მოეღოს. Sაქმე გახლავს შემდეგში: მე გავიგე, რომ ერთს აქაურს მცხოვრებს Iაგორ ძულიჯანოვს განზრახვა აქვსო Tფილისსა და Oელავ შორის დილიჟანი გამართოს; ცხენების შესაცვლელ ადგილებად (სტანციებად) ორი ამოურჩევია: Aხალ-სოფელი და Bომბორი. Bასი თითო კაცზე, როგორც ამბობენ, იქნება სამი ან ოთხი მანეთი. Iსე უნდა მოაწყოს საქმე, რომ დილიჟანი ერთს დღეს ჩამოდიოდეს Oელავიდამ Tფილისშიო და აქედამ Oელავშიო.“

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ საქმის რიგიანად წაყვანით და შესრულებით ბ. ძულიჯანოვი დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს მხარესაც და არც თვითონ დარჩება წაგებაში.

* * *

Bორაპნის მაზრიდამ გვწერენ, რომ ამ ოქტომბრის 6-ს ორი აქაური გამოჩენილი ავაზაკი—მაჭავარიანები—დაეცნენ თავს Bარძიის მონასტერში მცხოვრებს ბერძნის არხიმანდრიტს Iოვანიკეს იმ დროს, როდესაც ის ლოცულობდა და იმდენი სცემესო, რომ, ლოცვა კი არა, კინაღამ სიცოცხლეც გაუმწარესო. Cემის შემდეგ, რაც კი რამ გააჩნდა, ყველაფერი წაართვეს და წავიდნენო.

Aმავე ავაზაკებმა 3-ს ამ თვეს ჩხარის ურიები გაცარცვესო. Cხენების წაყვანას და სხვა ათას გვარ ამათ ავაზაკობას რიცხვი არა აქვსო, და ამიტომ თითქმის მთელი ჩვენი მაზრა შეწუხებულია ამ ორი კაცისაგანო; მაგრამ პოლიცია ყურსაც არ იბერტყსო. Aმას წინად, მართალია, მაზრის უფროსმა პოლიციის პრისტავი რამდენიმე ჩაფრით გაგზავნა ამათ დასაჭერად, ერთ ავაზაკთაგანის სახლს გარს შემოერტყნენ, მაგრამ დაჭერის მაგივრად გზა მისცეს და გაუშვესო; და მთელი ამათი მოქმედება უფრო კომედიას ჰგავდა, ფორმისთვის შესრულებულ საქმეს. [illegible] ენერგიულ მოქმედებას.

Uცხოეთი

Eგვიპტის Aმბები

Aრაბი-ფაშის საქმის გარჩევა მეტად გაჭიანურდა. Eხლა საქმე იმაზედაა მიმდგარი—გარიონ ამ საქმეში უცხო ქვეყნების ვექილები თუ არა. Aრაბის მისცეს უფლება, თითონ ამოირჩიოს ვექილი. Mაგრამ Eგვიპტეს მმართველობა მოუხერხებლად ალიარებს, რომ უცხო ქვეყნების ვექილები გაურიონ ამ საქმეში; როგორც Aრაბის საქმეს, ისე სხვებისაც, ამასთან ერთად რომ დაატუსაღეს, ერთ მხოლოდ Iნგლისს აძლევს ის გასარჩევად.

— Aრაბი-ფაშას საპყრობულეში ისე ეპყრობიან, როგორ უბრალო დამნაშავეს, ავიწროებენ, ტანჯვენ, და, რაც უფრო ძნელი მოსათმენია ალმოსავლეთელისათვის, თამბაქოს არ აძლევენ.—Eრთ დღეს შესულა Aრაბისთან ქედივის უფროსი ევნუხი და უწამება ის.—Eრთი ინგლისური გაზეთის აზრით, თუ Aრაბის რამ შეემთხვა საპყრობელეში, სანამ საქმე არ გარჩეულა, დანაშაულობა იქნება და ეს დანაშაულობა ქედივს კი არ მოეკითხება, არამედ იმას, ვინც ის დაატყვევა და უნდა გაასამართლოს, ე. ი. Iნგლისს. Dღემდის Aრაბის საქმეზედ გამოწვეულნი მოწმენი ამტკიცებენ, რომ რაც Aლექსანდრიაში უბედურება მიეყენათ ევროპიელებს, Aრაბის იმაში მონაწილეობა არ მიუღიაო.

— Oუ ეგვიპტის საქმეები ესე დინჯად მიდის, მიზეზი ამისა არის Iნგლისის აზრით ის, რომ ეხლანდელი მდგომარეობა Eგვიპტის საქმეებისა არაფერს ისეთს წარმოადგენენ, რომ ამით დაირღვეს Eვროპის მშვიდობიანობა.—Bესაძლებელია, რომ Eგვიპტეს საქმეების გადაწყვეტაში საფრანგეთი აიღებს, წამოაელებს ხელს, რაც კი მოხვდება ხელში, სასილე გინდა, საწერელი, მიაქვს ხალხის თავზე ლაწილუწი *).

Iმას მოგახსენებდით,—ამის გადაყოლება Bაქარიასაგან ძნელი არაა, საკვირველია ისა, რომ Tფ. ოლქის სასამართლოს ჩლენებიც თავის კბილისა შეხვდა. Nამდვილი ქართველი ხალხის გული ჰქონიათ ამ დალოცვილებს, პურ-მარილის დაფასება ძალიან სცოდნიათ, ქეიფი ყვარებიათ. Bაქარიასაც ეს უნდა!

Aმას წისქვილები აქვს ს. Eრწოში, იქვე ახლოს არის გლეხის Cალუღელაშვილის წისქვილი. Bაქარიამ თავის ქვეყნიურის თვალით გაზომა, რომ ეს კონკურენტი იმის წისქვილების კრედიტს ამხობს. Rა მოეუხერხო, რომ ეს აქედამ ავბარგოვო, იფიქრა Bაქარიამ, და ბოლოს ეს მოიფიქრა:—მოხვედავს, მაგალითად, რომ Bაქარა დაახლოვებულია ამა-და-ამ „ჭახრაკთან“, მიდის და ეხვეწება: „Bენი ჭირიმე მიმსახურე, ოღონდ ეს საქმე კი გამიკეთე“. Iსიც მიდის და როგორც ჰსურს, ისე აკეთებს საქმეს. Eსენიც ყველა ამის თხოვნას, ჩვენებას იღებენ საბუთად და ამრავლებენ, უ-მისოდაც გამრავლებულ, წურბელებს საზოგადოების სხეულზედ.

Bარდა ამ ხელოვნურად გაჩენილის სენისა ხალხშია დარეული საუცხოო ციებ-ცხელება, რომელიც დიდი ხანია არ აავადებს ხალხს. Eს ავადობა ისე Iორზე არ არის გახშირებული, როგორც Aრაგვზე.

Eქვსი თვეა ექიმი წავიდა აქედამ და ალარავინ მოდის, ლამის „ბებრების“ ანაბარას დავრჩეთ. Iითხოეთ ამაზედ იფიქროს იმან, ვისიც ჯერ არს...

Mართლა, სულ თავი-და-თავი კი მავიწყდება. Aმას წინად „Dროებაში“ იყო შენიშვნა Oიანეთის მღვდლების ყოფა-ქცევაზედ, მაგრამ კორრესპონდენტს ბევრი დავიწყებია იმათ შესახებ. Eს სულიერნი მამანი სამკვდროდ ეკრძალებიან, ადვოკატობაც დაწყეს! ჩხუბობენ, მერე თავის მრევლს აბარებინებენ, ტყუილად ხალხს ავიცებენ და თავის წმიდა-დანიშნულებას თვითონვე ლაფში სტურტნიან.

Eრთმა აქაურმა ბლაღოჩინმა მამა Sისოროვმა გადიკიდა საჩივარი, მოწმად თავისი დიაკვანი Lუკა Bორიაშვილი წაიყვანა. Jერ, სუდში, დიაკვანმა გადიწია ბლაღოჩინისკენ, მაგრამ ეტყობოდა სიცრუე, მოსამართლემ შეატყო და ეუბნება: „სამლოდ-ლო კაცი ხარ, ტყუილად არ უნდა ილაპარაკო!“ Mაშინ კი ზეციურმა ზარმა სძლია შიშსაც და ქვეყნიურ ფეხქვეშ გაგებას, დიაკვანმა მართალი სთქვა... Aმაზედ აღელვებულმა ბლაღოჩინმა დაითხოვა პრიჩეტნიკობიდამ და მოუწყვიტა იმის ცოლ-შვილს ცხოვრების წყარო.

ლ. კათაკმეველი

---

*) ეს სიტყვები სურვის ეგონება, რომ აზრის დასაფერავად იყოს მხოლოდ მოყვანილი. თვითონ მე ვიცნობ კაცს, რომელსაც იმისათვის ნასროლი სასიკვდილოდ შინა აქვს. ავტ.

ებთმაც მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ დანარჩენ ევროპის სახელმწიფოთა ამ საქმეებში გარეევაზედ კი არ თანხმდება ინგლისი.

— ხმებია, ვითომ ქედიერ სტოვენდეს მეგვიპტის მეფობას:—მხოლოდ მაშინ დავრჩები ჩემ ალაგზედ, თუ ხონთქარი დაჰყვება ინგლისისა და საფრანგეთის აზრს და ნებას მომცემს, ცვლილება მოვახდინო სამხედრო და სამოქალაქო უწყებაშიო. მაგრამ იმ ცვლილებებზედ ინგლისი არც ქედიერს ეკითხება და არც თვით დიდებულ სონთქარს. ინგლისის ბრძანებით მიენიო ბეკერ-ფაშას შეადგინოს მუდმივი ჯარი მეგვიპტეში. ისიც, ბეკერ-ფაშა, აცხადებს, რომ ერთს წელიწადზე ადრე ვერ შევადგენ ჯარსაო და ამიტომაც საჭიროა, რომ ყოველის შემთხვევისათვის ამ ვადამდე ინგლისის ჯარიც არ გავიდეს მეგვიპტედამაო.

— ინგლისის მმართებლობა ოსმალეთს სულაც არ ეკითხება ეგვიპტეს საქმეებზედ, მაგრამ ნაინც „ფორმისთვის“ არწმუნებს მას, რომ მეგვიპტის შესახებ ინგლისს არავითარი ცუდი განზრახვა არა აქვს და, რა დაამყარებს აქ წესსა და რიგს, მაშინვე გაიყვანს თავის ჯარებს.

— შკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, ითქო ინგლისსა და საფრანგეთ შუა მოთანხმება მოახდარიყოს მეგვიპტის საქმეების შესახებ.

— მეგვიპტის ჯარში, რომელსაც აგროვებს ბეკერ-ფაშა, იქნება სულ 10,000 მეომარი. ჯარის უფროსებად აუტეს წილად ინიშნებიან ჩერქეზები და ზოგი ოსმალელნიც.

— ერთ ინგლისურ გაზეთში იწერებიან, რომ, თუ მეგვიპტეს მმართებლობა ჯეროვან ყურადღებას არ მიაქცევს იმაზედ, რომ არაბის საქმე მიდეოთ ბოლოს, ინგლისის მმართებლობა მოითხოვო, რომ არაბი მას გადაეცეს გასამართლებლადაო.

— ბრიტანიის (ინგლისის) ელჩს მეგვიპტეში (ქაირში) მოუვიდა მიწერილობა სამინისტროსაგან, რომელშიც სწერენ, რომ აუცილებელი საჭიროა სასტიკად დასჯა მოჯანყეთაო, არაბისა და ამას მომხრეთა. საქმეს ვნებს დაგვიანებაო, საჭირო არ არის ამ ზომების ხმარება, რაც ალმოსავლეთის ჩვეულებებს არ შეჰფერისო.

—

ამერიკის შეერთებული შტატები.

ბის არ ახსოვს ბიტოს პროცესი, ამერიკის პრეზიდენტის — გარფილდის მკვლელისა. ბიტოს ხომ სიკვდილით დასჯა გადუწყვიტეს და ეს საქმე გათავდა. და ეხლა შეიძლება კიდე ასტეხეს პროცესი, მაგრამ ბიტოსი კი არა—ბიტოს თავის პროცესი. ბიტოს თავი სასოებით ჰქონდათ შენახული ერთ საექიმო მუზეუმში. ძალიან უვლიდნენ, ინახავდნენ, მაგრამ მაინც კიდე მოუპარავს ამ ცოტა ხანში ერთ ღამეს ახირებული ამერიკელს...

მწერლობა

ახალი დედანი ბ. ბაბიჩვაძისა.

ბოველი ახალი შემატება ჩვენ სასწავლო ლიტერატურაში სასიხარულო მოვლენად უნდა მიგვაჩნდეს, რადგანაც იგი გვაძლევს ნებას ვიქონიოთ სრული იმედი, რომ ადრე თუ გვიან ჩვენ ბავშვებსაც ელირსებათ ლონის-ძიება ჭეშმარიტის განათლების შეძენისა. ვრწმუნდებით აგრეთვე, რომ ქართველებში სჩნდებიან ახალ-გაზდა ყმაწვილები, რომლებიც შეძლებისადა-გვარად სცდილობენ რაიმე სარგებლობა მოუტანონ ჩვენს საზოგადოებას და მისცენ პატარა შემწეობა ჩვენს საზოგადო საქმეთა მსვლელობას.

ესე მრავალნი არიან გატაცებულნი ერთი და იგივე ლტოლვილებით, ერთი და იგივე კეთილის მიზნით. ამათ ეჭირვებათ მხოლოდ წაქეზება, ზნეობითი დახმარება. წინ-დაუხედავი და უსაფუძვლო განკიცხვა მათი ერთობ უსამართლობა იქმნება და, თუ გინდათ, დანაშაულობაც. მოვალენი კი ვართ, რასაკვირველია, ვუჩვენოთ მათ, თუ შეგვიძლიან, თვისი ნაშრომის და ღვაწლის ნაკლულევანება, რათა შემდეგში შეეძლოთ ამ ნაკლულევანებათა თავიდამ აშორება.

ამ ჟამად ჩვენს ქალაქში დაიბეჭდა ბ. ბაბიჩვაძის ახალი დედანი. საჭიროდ ვრაცხთ შევიტყოთ, რა შემოიტანა სასწავლო ლიტერატურაში ხსენებულმა ახალმა დედანმა სასარგებლო?—მე ვგონებ, რომ მას სასარგებლო სრულიად არა შემოუტანია-რა და, სწორე გითხრათ, ზარალიც შეუძლიან.

ვეცდები ამ ჩემს სიტყვებს საფუძველი გამოუძებნო. ჯერ პირველად მოვაგონებ ბ. ბაბიჩვაძეს, თუ საწყინოდ არ მიიღებს, რომ ყოველს სასწავლო საგანს აქვს თავისი მეთოდა, რომელიც არის დაფუძნებული პედაგოგიურს საზოგადო პრინციპებზედ. ეს გარემოება სახელმძღვანელოს ყოველმა შემდგენელმა აუცილებლად უნდა იქონიოს მხედველობაში, თორემ წინაღმდეგ შემთხვევაში იგი მიზანს ვერ მიაღწევს და მისი შრომა უნაყოფოდ დარჩება.

რაში მდგომარეობს, მაგალითებრ, მიზანი წერის მეთოდისა?—იმაში, რომ რაც შეიძლება ადვილად და მალე ასწავლოს ბავშვებს ლამაზი, გარკვეული და ყველასაგან მიღებული წერა. რომელიც გინდა უცხო ტომის დედანი აიღოთ ხელში, ჩვენ უეჭველად ვნახავთ, რომ ასოების სიადვილისა და სილამაზის გულისათვის გამოგონილი აქვსთ როგორიმე ერთი ბადე, რომელშიაც ბავშვის სუსტი ხელი გაუჭირებლივ შეიძლებს ჩასვას ასო, როგორც კალაპოტში.

უკვე ცნობილია, რომ ის ბადე უფრო უმჯობესია, რომელიც გაიმჩნევა თვისი სიმარტივით, მცირე—რიცხოვან ხაზებით და ასოების შესაფერი მოთავსებით.

რა მტრობა ჰქონია ბ. ბაბიჩვაძეს ქართველი ბავშვებისა, რომ ერთის ბადის მაგიერად გამოუგონია ოთხი, რითაც გაუძნელებია მათთვის ხაზვა, ამ გვარად ნახაზი რვეულების შოვნა (რადგანაც უკანასკნელნი ძვირად დაჯდება) და მაშასადამე, თვით წერაც?

ჰო, ეს ოთხი ბადე შემოიღო—რატომ არ გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა მოვიხმაროთ თვითეული ამ ბადეთაგანი? ავტორს პირველ ბადეში (იხ. 1 გვ.) ჩაურთავს ასონი: ს, ხ, ძ; ვსთქვათ, მე მსურს ამ ბადეშივე ჩავსწერო წ, ტ, ლ და ან სხვა ამ გვარი ასოები; რა ნაირად მოვიხმარო ამ შემთხვევაში ეს პირველი ბადე—სწორე გითხრათ, არ ვიცი. ბგონებ თვით ბ. ბაბიჩვაძესაც ვერ მოუხერხებია ამ გაჭირვებისაგან თავის დახწევა და გამოსხლტომია იმით, რომ ზოგიერთა თავიდამ ხელ-აღებულ ასოებისათვის გამოუგონია მეორე ბადე და შიგ მოუმწყვედვია იგინი.

იმის საუბედუროდ, ამათშიაც აღმოჩენილან ბევრი ასოები, რომლებიც ამ საშუალებით ვერ დაუმორჩილებია,—გამოუგონია ახალი სხვა ბადე და ესე შესდგომია ოთხ-ნაირი.

რა ადვილად დაიწერებოდა თვითეული ასო, რო ყველას საკუთარ ბადე ჰქონდეს! ეს კარგი და პატიოსანი; მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ ბავშვის ჭაპან-წყვეტა, როდესაც იგი ისურვებს ისეთი სიტყვის დაწერას, რომელიც შესდგება სხვა-და-სხვა ბადეთაგან ამოღებულ ასოებისაგან! ახლა საით გაიქცეს? შენი მტერი, მართლა ბადეში გაებას და დარჩეს პირ-დაღებული.

ის არ ემჯობინებოდა, რომ გამოეგონა ერთი საზოგადო ბადე, რომელშიაც არამც თუ ერთი სიტყვის, არამედ მთელი ისტორიის დაწერაც შესაძლებელი ყოფილიყო?

ეს ასე. ახლა ეს რალა ნაცილია, რომ ზოგი-ერთი ასო ადის ზემოდა მწოლიარე ხაზამდის (იხ. თუნდა მეორე ბადე, 1 გვ.) და ზოგი მარტო ცოტათი მიუახლოვდება? ნუ თუ ამ პაწაწა, უსულო ქმნილებებშიაც სუფევს დიდ-პატარაობა? რა ქმნას მოსწავლე ბავშვმა, როგორ დაიხსომოს, რომ ს ადის ზემოდა ხაზამდის, მ არა, ჩ ადის, შ არა და ასე სხვანი? ბანა უფრო შნოიანი და ლიზათიანი არ გამოჩნდებოდა ნაწერი, რომელშიაც ამ გრძელ ასოებს ერთნაირი სიდიდე ექმნებოდათ?—მგონია, გაცილებით. ბ. ბაბიჩვაძის მოსაზრება ამ შემთხვევაში მიუწთომელია ჩვენთვის.

ერთი გასაკვირველი კიდევ ის არის ახალ დედანში, რომ ის გვასწავლის ასოებს წერას კი არა, არამედ ხატვას. თუ იცი, მკითხველო, ხატვა, კიდეც შეგიძლიან ამ დედნით ისარგებლო, თუ არა და, რაც გინდა ეცადო, შენ ისე ვერ გამოიყვან ასოებს, როგორც ბ. ბაბიჩვაძე. საქმე იმაშია, რომ ყოველ ასოს დაწერაში ჩვენ ან აგვაქვს კალმის წვერი ზევით, ან ჩამოგვაქვს ქვევით; ზევით ატანით გამოდის ბეწვებრივი ანუ ვიწრო ხაზი (волосная черта) და ქვევით ჩამოტანით—უფრო მომსხო ანუ სქელი ხაზი (нажимъ).

ამიტომ ჩვენ ეხედავთ, რომ ყველა ასოს ტანი შესდგება ორ გვარი ხაზებით: ბეწვებრივი და სქელი ხაზით. ერთი ამათგანი უეჭველად მარჯვნივ იქმნება, მეორე—მარცხნივ.

ერას დროს არ შეიძლება, რომ სრული ასო საკუთრივ ან ერთი ან მეორე ხაზისაგან შესდგებოდეს. თუ ოდესმე არის ამ გვარი ასო, უეჭველად იმის დაწერაში ძალა არის ნახმარები, ანუ უკვედ ვსთქვათ, დახატულია და არა თავისუფლად დასმული. ვისაც სურს ამ ჩვენ სიტყვებში ჭეშმარიტების პოვნა, აიღოს ახალი დედანი, გადასინჯოს ასოები: ე, ვ, ქ, გ, ტ, ც და ბევრი სხვ. და ეცადოს ისე დასწეროს ესენი, როგორც ბ. ბაბიჩვაძეს დაუწერია. პირველ ამ ოთხს ასოს, როგორც ხედავთ, ბოლოები მარცხნივ აქვს შემოხვეული. ამ ბოლოების შემოხვევის დროს თქვენ, უეჭველია, კალამს ზევით აატარებთ, მაშასადამე, გამოგიყვათ ბეწვებრივი ანუ ვიწრო ხაზი; ბ. ბაბიჩვაძეს კი აქ სქელი ხაზი აქვს. საიდამ დაიბადა აქ სქელი ხაზები, თუ არა ხატვის წყალობით? დედნის მიზანი კი წერაა და არა ხატვა. ბასინჯეთ აგრეთვე ბ, ტ, ც—ნახავთ იმავე საკვირველებას: ორსავე მხრივ მუცლებზედ სქელი ხაზები აქვსთ. ბცნევა, ბ. ბაბიჩვაძეს ეს საშუალება უხმარნია ასოების გასალამაზებად; მაგრამ ის კი აღარ უფიქრნია, თუ რამდენად შეესაძლებელია ამ გვარი ასოების დაწერა და ამიტომაც მთელი საგნისათვის ერთობ რთული და არა-ჩვეულებრივი ხასიათი მიუცია.

რომ მარტივობის და რთულობას ავტორის ყურადღება არ მიუზიდნია, გვიჩვენებს სხვა მაგალითებიც: აიღეთ პირველი გვერდი და ნახავთ, რომ პირველ ბადეში ჯერ მრგვალი ჩაუსვამს და მერე სწორე ხაზი. ბანა სწორე ხაზზედ ადვილი რამე-ღა შეიძლება წერა-ხატვაში, რომ იგი თავშივე არ არის მოქცეული? ჰო, როგორმე შეგეძლოთ გელალატებინათ სწორე ხაზისათვის, მაგრამ ეგ კი არაფერია, ბ. ბაბიჩვაძეე, რომ სულ ბოლოში მოსაქცევი (მრგვალი) თქვენ, არ ვიცი, როგორ და რა გზით, სულ თავში მოგიქცევიათ!

ზოგი ერთი ასოები ხომ სულ ძალად არის გაჭრელებული, და მაშასადამე, გაძნელებული: რად უნდა, მაგალითებრ, ჯ—ს რომ მარჯვნივ გაუკიდნია კუთხე? რითი იქმნებოდა ნაკლები ეს ასო, რომ მეორე ხაზიც თავამდის სწორედ ასულიყო?

ბველა ეს ნათქვამია მარტო ზოგიერთ ასოებზედ; მაგრამ ძნელი ის არის, რაც შეეხება მთელს შრიფტს. უნდა მოგახსენოთ, რომ ქართული ასოების თვისება მოითხოვს, რომ იგინი იდგნენ ფეხზედ და არა იყვნენ გადაწოლილნი; თუ ამ ჟამად ჩვენ ვსწერთ გადაწოლილი ასოებით, ეს მხოლოდ სხვა პირობების გავლენით: ნუ დაივიწყებთ, რომ მომატებულ

ნაწილს ჩვენთაგანს ჯერ პირველად აქვს ხელი შეჩვეული რუსული წერისათვის და მერე აუღიათ ქართული. თვით უძველესი წარჩინებული ქართული ხელთ-ნაწერები ამას ნათლად გვიმტკიცებენ. ამიტომაც ბ. ზაბიჩავაძისაგან დედანში ჩართული ნიმუში (იხ. 8 გვ.) გადაწოლილი ასოებით ნაწერისა, ეგონებ, მისაღები არ არის, რადგანაც, როგორც ვსთქვით, არ ეთანხმება საქმის სინამდვილეს.

ერთი უმთავრესი ნაკლულევანება იმავე დედნისა მდგომარეობს იმაში, რომ არა აქვს სურათები. მათ მნიშვნელობაზედ შეიძლებოდა გვეთქვა რამე, მაგრამ ბაასის გაჭიანურებისა გვეშინიან.

კიდევ ერთი რამ: მეოთხე ბადე (იხ. 2 გვ.) ჩვენ ამ რამდენიმე თვის წინად გვინახავს ბ. ი. ს. ზოგებაშვილის ჯერ გამოსაცემ დედანში; საკვირველია, რაიდამ და არ გზით აღმოჩნდა ბ. ზაბიჩვაძის დედანშიაც?

კიდევ შეგვეძლო გვეთქვა რამ, მაგრამ ესეც საკმარისად მიგვაჩნია. მაშ რალა დარჩა ახალ დედანიდგან?— ყდა, კაი ქაღალდი და კაი ლიტოგრაფია.

ალ. ჭირიანაშვილი.

ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დიღის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს. გარალეკი და ლისიცკი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—სირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცკი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცკი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და უმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავადმყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცკი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავადმყოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — სირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცკი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავადმყოფობისა.

შაბათს. ლისიცკი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სუსტის ავადმყოფობისა.

განცხადებანი

ქალაქის გამგეობისაგან

სატრაქტირო წესდების მე-26 § ძალით ტრაქტირებას, სარშოვნიკებისა და ჰასტაიალი დეპორეიის საზოგადოებათა დეპუტატები ვალდებულნი არიან 1 ნოემბრამდინ (გიორგობის თვემდინ) შეუდგნენ 1883 წლისათვის საშუალო აქციზის გაწერას;—ამის გამო ტფილისის ქალაქის გამგობა ზემოხსენებულ ზავედენიების ჰატრონებსა სთხოვს, რომ არა-უგვიანეს 1 ნოებრისა მიიღონ უფრავიდამ მოწმობა თავიანთ ზავედენიების გახსნისა 1883 წ. ვინც ამას არ შეასრულებს, ე. ი. ვინც დანიშნულ ვადამდინ ხსენებულ მოწმობას არ მიიღებს უფრავიდამ, იმათ უფრავა სატრაქტირო წესდებისა 18 და 38 §§ მუხლების თანახმად მოეპყრობა. (3—2)

ტფილისის ქალაქის

გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა იწვევს ჰირთ, რომელნიც მოისურვებენ იჯარით აიღონ საქალაქო სახლის ქვის მუშაობა და შელესვა ველიამინოვის ქუჩის მხრით, მობრძანდნენ ვაჭრობაზედ ქალაქის გამგეობის სადგომში სამშაბათს, 12 ამა ოქტომბრის რიცხვსა.

დაწვრილებითი ჰირობების შეტყობა შეიძლება მუდამ დღე გამგეობის სადგომში დილის 10-დამ 2 საათამდე ნაშუადღევისა. (3—3)

ტფილისის კადეტის კორპუსში კურს დასრულებული ამზადებს უმაწვილებს სამხედრო სამსახურის მესამე განყოფილებისათვის, (III-йразр. вольно-опред.) გემნაზიის 5 კლასისათვის და აგრეთვე სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის ძრიელ ზომიერ ფასად. ადრესი ქაშუეთის ეკკლესიის ეზოში.

(3—3) მელქისედეკ ნაკაშიძე.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესის ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი სუთი შაური.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და ბრიქურროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ). **ქუთაისში:** ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

გორში: მ. ქერესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

მწყემსის სტვირი

ლექსები, სიმღერები და ზღაპრები

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის

სკოლაში და შინ საკითხავად

ადაპტირებისა

გამოცემა ვ. მ. შაგერდოვის გაზეთის საგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი

(10—10)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

თამარ დედოფალი

შედგენილი

ვ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

ახალი ქართული

კარაბადინი

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვის და ბრიქურროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

ტაქცია

საგვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ბუქნებში და დატარებით 1 ოქტომბრიდამ 15 ოქტომბრამდის.

ბამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილისა

პირველის ხარისხის	—1	ბირ.	5½ კ.
მეორის „	—1	ბირ.	4 კ.
მესამის „	—1	ბირ.	—

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის	—1	ბირ.	6 კ.
მეორის „	—1	ბირ.	4½

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის. ლავაში	1	ბირ.	6 კ.
მეორის „ „	—1	ბირ.	5 კ.
მესამის „ „	—1	ბირ.	4½

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის	—1	ბირ.	8 კ.
მეორის „	—1	ბირ.	7 კ.
სუკი — —	—1	ბირ.	14 კ.
ცხვრის ხორცი	1	ბირ.	8 კ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის	—1	ბირ.	— კ.
მეორის „	—1	ბირ.	— კ.

გამოვიდა ცალკე წიგნათ

დრამა

საშოობლო!

ისყიდება **შავერდოვის საგენტოში.**

ფასი 60 კაპ. (20—20)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმტრესს კლასებში სასმარებელი, შედგენილი **ი. ზოგებაშვილისაგან,** დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება **ბრიქურროვის** წიგნის მაღაზიაში, **ბუკიის** ხიდის ეურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოცდა-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

კარტა საქართველოსი, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Октября 1882 г. Типографія Мѣликова

გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი